

დამტკიცებულია  
ბრძანება N1. 15.02.2017 წელი  
ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს  
საზოგადოებრივი კოლეჯის  
დირექტორი: იოსებ მათიაშვილი

შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი  
კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ბუღალტერ - ტექნიკოსი

საკონტაქტო ინფორმაცია:  
ქ. საგარეჯო, ლეონიძის ქ. #33<sup>ა</sup>  
ვებ გვერდი: [Ili.edu.ge](http://Ili.edu.ge)  
E-mail: [liiasagarejo@gmail.com](mailto:liiasagarejo@gmail.com)  
0(351) 24-24-36; 555 51 32 28

პროგრამის ხელმძღვანელი: თამარ აბულაშვილი

საგარეჯო 2017

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი

- I. **სახელწოდება:** ბუღალტერ-ტექნიკოსი
- II. **სარეგისტრაციო ნომერი:**04106-3
- III. **პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით:** მესამე
- IV. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- V. **საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
  - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
  - ბუღალტერ-ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი
- VI. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**საბაზო განათლება
- VII. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**  
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბიზნესსერვისებში, როგორც ბუღალტერი, საფინანსო სამსახურის (ბუღალტერიის) სპეციალისტი, ბუღალტერ-ტექნიკოსი (დამხმარე ბუღალტერი, რომლის სამუშაო ადგილი ბიზნესსერვისებში შეიძლება მოიხსენიებოდეს, როგორც ბუღალტრის მოადგილე, ბუღალტრის ასისტენტი და სხვ.) და ა.შ.
- VIII. **პროგრამის მიზანი:**  
პროგრამის მიზანია მისცეს პირს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების, საგადასახადო დაბეგვრის ზოგადი პრინციპებისა და ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობისათვის აუცილებელი ძირითადი საკითხების ცოდნა.  
გამოუმუშაოს სამეურნეო ოპერაციის აღქმისა და შეფასების, სამეურნეო ოპერაციის დოკუმენტირების, ბუღალტრული მონაცემების დაჯგუფებისა და რეგისტრაციის, საბუღალტრო რეგისტრებში სამეურნეო ოპერაციის ასახვის, ბუღალტრული ანგარიშების დახურვის, საშემოსავლო და დღგ-ის აღრიცხვის, საცდელი ბალანსის შედგენის, დანახარჯების კლასიფიკაციის, პერიოდიზაციისა და თვითღირებულების კალკულაციის, შიდა მენეჯმენტისთვის ანგარიშგების შედგენა-წარდგენისა და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის გამოყენების უნარები;  
შექმნას და გაამართლოს საზოგადოების მოლოდინი, რომ ამ პროგრამით მომზადებული სპეციალისტები დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკისა და კონფიდენციალობის დაცვით, აღჭურვილები იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.
- IX. **სწავლის შედეგები:**  
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების მოპოვებაში მონაწილეობა
  - სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა ხელით მუშაობის პირობებში და კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით
  - შიდა მოხმარების მიზნით (ოპერატიული მართვისათვის) ანგარიშგების მომზადება-წარდგენა
  - საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მონაწილეობა
  - პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა
- X. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- მოცულობა: 93 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 17 სასწავლო თვე

**XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:**

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	2	გაცნობითი პრაქტიკა-ბულალტერ-ტექნიკოსი	2	რუსული ენა	4
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-ბულალტერ-ტექნიკოსი	8	უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციები	5
საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	პრაქტიკული პროექტი-ბულალტერ-ტექნიკოსი	5	კონფლიქტური სიტუაციების მართვა	3
მეწარმეობა	4	პირველადი საადრიცხვო დოკუმენტაცია	5	მომხმარებელთან ურთიერთობა	3
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	საადრიცხვო მონაცემთა ბაზები	7		
უცხოური ენა	4	კომპიუტერული საბულალტრო პროგრამა	5		
ქართული ენა A2	15	საგადასახადო ვალდებულებები	7		
სამოქალაქო განათლება	2	ანგარიშგებების მომზადება	3		
		ინვენტარიზაცია	4		
<b>სულ:</b>	<b>32</b>	<b>სულ:</b>	<b>46</b>	<b>სულ:</b>	<b>15</b>

**XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება**

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
  - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში

**XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:**

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ავტორიზებული ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.